ისევ ნულოვანი ფრე

დნეპროპეტროვსკი. “მეტეორის” სტადიონი. 15 სექტემბერი.

“დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“დნეპრი”: კოლტუნი, კოვბა, ნაიდა, ბოგდანოვი, პოლიპჩუკი, სოლოვიოვი, შნეიდერმანი, ევსეენკო (პორკუიანი), იაკოვლევი, შლესტი (ხრისტიანი), სლობოდიანი.

“დინამო”: გაგოშიძე, გავაშელი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი (ძოძუაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ესებუა.

მსაჯი: ვ. ფარდმანი (ეისკი).

დუბლიორები – 3:3.

მატჩი, რომლის შედეგსაც ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, საკმაო ხნის მანძილზე მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და ტემპიც ნელი იყო. როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები, საკუთარი კარის დაცვას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე მოპირდაპირე კარის იერიშს. ტაიმმა ისე განვლო, გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა თითქმის არც ყოფილა.

ბრძოლის სურათი მეორე ტაიმის დასაწყისშიც არ შეცვლილა. მაგრამ შემდგომში “დნეპრმა” უმატა ტემპს, თავდამსხმელები გააქტიურდნენ, უფრო გაბედულად ამოქმედდნენ და ამან დინამოელებიც აიძულა “ხელი გაენძრიათ”. იაკოვლევს, სლობოდიანს, ხრისტიანს მიეცათ წარმატების მიღწევის შანსი, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო გაგოშიძემ და თბილისელთა დაცვას საგრძნობი დატვირთვა დააწვა. სახიფათო მომენტები შექმნეს, თავიანთს მხრივ, ნოდიამ, გუცაევმა, რეხვიაშვილმა.

საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გოლის გატანა და ისევე როგორც პირველ წრეში, მეტოქეები ნულოვან ფრეს დასჯერდნენ.

“ლელო”, 17 სექტემბერი, 1974 წ.